პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 აგვისტო, კვირა, 1987 წ.
№ 154 (9565) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვეგებებით ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

### სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

„ლელოს" კორესპონდენტები **ნოდარ გუგუშვილი, ავთანდილ გურასაშვილი და თამაზ ხარაბაძე** შეჯიბრების ადგილებიდან გვატყობინებენ:

## მხოლოდ ერთი ფინალისტი

**ქუთაისის** სპორტკომპლექსის სადემონსტრაციო დარბაზში შეჯიბრება დაამთავრეს ხმლით მოფარიკავეებმა. საქართველოს ნაკრებიდან ფინალში მხოლოდ გაგრელი ლაშა ყიფიანი გავიდა (მწვრთნელი თამაზ კაკულია), სადაც მან პირველსავე ორთაბრძოლაში დაამარცხა ლენინგრადელი ევგენი ლისიცინი (რსფსრ, განათლების სამინისტრო) და მთავარ ნახევარფინალში ტურნირის ფავორიტს კიეველ ვადიმ გუტსაიტს შეხვდა. გამოცდილმა სტუმარმა გაცილებით უკეთ იასპარეზა — მან 10:5 დაამარცხა ყიფიანი.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა შეხვედრა III ადგილისათვის ყიფიანსა და დინამოელ ოსტაპენკოს შორის. გაიმარჯვა ოსტაპენკომ — 11:9. საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

1. ვადიმ გუტსაიტი („დინამო"); 2. მიხაილ სოკოლსკი (პროფკავშირები-I); 3. დიმიტრი ოსტაპენკო („დინამო"); 4. ლაშა ყიფიანი... 9. ზაზა ქორიძე... 11 ბადრი ჯავოევი... 30. რამაზ ლუაშვილი (სამივე — თბილისი).

გუნდური პირველობა: 1. პროფკავშირები-I; 2. „დინამო"; 3. საქართველოს ნაკრები (ყიფიანი, ლუაშვილი, ქორიძე, ჯავოევი).

## მადა ჭამაში მოდის

**თამაშების** პროგრამით გათვალისწინებულ არც ერთ შეჯიბრებას არ ემსახურება იმდენი საკავშირო და საერთაშორისო არბიტრი, რამდენიც თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირს. ეს მსაჯთა კოლეგიას ზევრად უადვილებს მუშაობას და კონფლიქტურ სიტუაციებსაც მინიმუმამდე ამცირებს. მწვრთნელებიცა და მონაწილენიც თავიანთი პირდაპირი მოვალეობით არიან დაკავებულნი.

სასტარტო ბრძოლებში რაიმე საგანგებო ან განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ეს, სხვათა შორის, არც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მოჭიდავეთა კონტინგენტი უცნობია, და ძნელია მათში ნაღდი ფავორიტების გამოყოფა. მდგომარეობა ალბათ მოგვიანებით გაირკვევა, სადღაც ფინიშის მისადგომებთან, ჯერჯერობით კი ჭაბუკი მოჭიდავეები გადამწყვეტი ბრძოლებისკენ ჯიუტად მიიკვლევენ გზას.

დანაკლისი სტარტზე, ცხადია, ყველა გუნდსა აქვს და მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებსაც. ასე მაგალითად, ელდარ მზარეულაშვილმა (42 კგ) და მურად ჩხაიძემ (52 კგ) ორი დამარცხების შემდეგ დასტოვეს ტურნირი. სამაგიეროდ ორ-ორი ბრძოლა მოიგეს: 60 კგ-ში ზვიად ტატაევმა (დაამარცხა უკრაინელი სერგეი ნაზიჩი და „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი ვალერი გრეკუ), 69 კგ-ში დავით ხაბელაშვილმა (აჯობა უკრაინელ ნიკოლოზ კოლოცკოს და არმიელ ალექსეი კუპცოვს), 74 კგ-ში გიორგი პატაშურმა (დაამარცხა უკრაინელი პიოტრ ვოლკოვი ქულებით და დინამოელი არჩენ ესინბეკოვი წმინდად), 80 კგ-ში კახაბიძემ (პროფკავშირების-I გუნდის წევრს ალექსანდრე გრაუეროს წმინდად მოუგო, სამხრეთის ზონის წარმომადგენელს გრაჩიკ საფარიანს კი ქულებით), მძიმეში — მინდია ბაჯელიძემ (დაამარცხა პროფკავშირების I გუნდის წევრი სერგეი შერებელო და „უროჟაის" წარმომადგენელი ნურჟან აამელოვი).



იხ. მე-3 გვ.

## აღდგენილი ოცნება



**ქეთევან** არახამიამ მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირში II ადგილი დაიკავა და პრეტენდენტთა მატჩებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა! რა მოუთმენლად, დიდი შიშითა და თან იმედით მოველოდით ნიჭიერი ქართველი ქალიშვილის ამ დიდ გამარჯვებას, გამარჯვებას, რომელმაც ქართულ ჭადრაკს კიდევ ერთხელ მოუპოვა აღიარება. დიახ, არახამიას სახით მსოფლიოს საჭადრაკო ელიტამ კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი შეიძინა!

რთული მდგომარეობა შეიქმნა ბოლო ტურის წინ იუგოსლავიის ქალაქ ტუზლაში. პირველი საგზურის ბედი ადრევე იყო გადაწყვეტილი. იგი ნანა იოსელიანმა მიიღო. [illegible] მეორე და მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ ქეთევან არახამია, ლიდია სემიონოვა და აგნეშკა ბრუსტმანი. ბოლო, XVII ტურში არახამიამ შესანიშნავად ითამაშა და შავებით დაამარცხა უნგრელი მარია ივანკა; ბრუსტმანმა და სემიონოვამ სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ შესაბამისად პეტროვიჩთან და ნიკოლინთან; იოსელიანი დაუზავდა ტრაბერტს. ამ ტურის წინ სემიონოვამ XIV ტურის გადადებული პარტია მოუგო ლებელ-არიასს და ბრუსტმანის მსგავსად 11,5 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. ნანა იოსელიანმა 13 ქულით I ადგილი დაიკავა, ქეთევან არახამიამ კი 12 ქულით — II. მესამე საგზურის ბედი სემიონოვა — ბრუსტმანის დამატებით ორწრიან მატჩში გადაწყდება.

ერთი სიტყვით, ოცნება აგვიხდა! თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ქეთევან არახამიამ ბრწყინვალე თამაშით გაახარა თავისი ქომაგები. ასეთი წარმატება მას მანამდე არ უზეიმია, და იმედი გვაქვს, მიღწეულს არ დასჯერდება!

მაშ ასე, სამი ქართველი მოჭადრაკიდან ორმა — ნანა იოსელიანმა და ქეთევან არახამიამ უკვე მოიპოვა პრეტენდენტთა მატჩებში მონაწილეობის უფლება. ახლა მოუთმენლად ველით ნონა გაფრინდაშვილის, ელიშკა კლიმოვასა და ირინა ლევიტინას დამატებით ორწრიან მატჩ-ტურნირს. გვჯერა, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი გაამართლებს ურიცხვი გულშემატკივრის იმედს და მხარს დაუმშვენებს თავის უმცროს კოლეგა-მეგობრებს.



## კვლავ რუსუდან ხოფერია

**გომელში ჩატარდა იუნიორთა საკავშირო პირველობა ბატუტზე ხტომაში. შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა და თავი გამოიჩინა თბილისელმა რუსუდან ხოფერიამ. მან ორი ჯილდო დაიმსახურა.**

გოგონათა ინდივიდუალურ ხტომებში უდავო ფავორიტად მოზრდილებს შორის მსოფლიო ჩემპიონი ლენინგრადელი ე. მერკულოვა ითვლებოდა. მაგრამ გამოცდილ ოსტატს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ნიკოლაეველმა ე. კოლომიეცმა და ხოფერიამ. მერკულოვამ ბოლოს და ბოლოს, მაინც გაიმარჯვა — 148,8 ქულა, მის მეტოქეებს კი შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები ხვდათ.

მერე კოლომიეცი და ხოფერია დაწყვილდნენ და სინქრონულ ხტომებში გამოვიდნენ. აქ მათი მთავარი კონკურენტები ვ. ლუკიანოვა (ვიტებსკი) და ო. ოსიპენკო (გომელი) იყვნენ. მაყურებლები თანაქალაქელს, ცხადია, განსაკუთრებით უჭერდნენ მხარს, მაგრამ პირველი ადგილი მაინც კოლომიეც-ხოფერიას წყვილმა მოიპოვა.

ჭაბუკთა შორის ერთეულთა ხტომებში ყველას აჯობა ევროპის იუნიორთა ჩემპიონმა დ. პოლიარუშმა (პერმის ოლქი) — 155 ქულა. იგი გომელელ ი. შერშნიოვთან ერთად უძლიერესი იყო წყვილთა სინქრონულ ხტომებშიც.

## ორგკომიტეტის სხდომაზე

**20-23 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. ამ საპატიო პრიზისათვის ბრძოლაში ჩაებმება ჩვენი ქვეყნის 32 უძლიერესი ტანმოვარჯიშე.**

გაიმართა ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელსაც რესპუბლიკის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ფედერაციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი კონსტანტინე სალია ხელმძღვანელობს.

განიხილეს ასპარეზობის მოწყობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები, დაისახა შეჯიბრების სათანადო დონეზე ჩატარების ღონისძიებები.

## საკავშირო ნაკრებში

**სოხუმელი** თემურ გუგუბერიძე და თბილისელი გია ბახტაძე ბოლო დროს თანატოლთა თითქმის ყველა შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ. კარგად იასპარეზეს ვილნიუსში, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე გამართულ ნორჩ მოცურავეთა საკავშირო პირველობაზეც. ერთიც და მეორეც III ადგილზე გავიდა. გუგუბერიძემ საპრიზო ადგილები 100, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით და 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მოიპოვა, ბახტაძემ კი წარმატებას 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მიაღწია.

ჩვენი მოცურავეები შეიყვანეს ნორჩ მოცურავეთა საკავშირო ნაკრებში, რომელიც კორეის სახალხო რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობაში" მიიღებს მონაწილეობას.



ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მონაწილეებმა გუშინ, თბილისში, გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. მთელს რესპუბლიკაში გაიმართა ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებები, ბევრგან გაიხსნა ახალი სპორტული ბაზები. (მასალებს „ლელოს" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ).

## ელვა-ინფორმაცია

**თბილისი.** კალათბურთი. ნახევარფინალური მატჩები, ჭაბუკები. საქართველო — „დინამო" 92:50 (54:16), გოგონები. საქართველო — რსფსრ 74:83 (38:39). ჩოგბურთი. ბექა ძაგანიამ და თამარ ბერაძემ ნახევარფინალური მატჩები წააგეს და დღეს ისინი მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებენ.

**თელავი.** ქართველმა ბადმინტონისტმა ელისო მარგველაშვილმა ერთეულთა თანრიგში ფინალურ შეხვედრაში ბრძოლის უფლება მოიპოვა.

## ინფორმაცია

**ამსტერდამი.** (საკდესი). აქ მიმდინარე ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის სასტარტო მატჩში კიევის „დინამომ" ანგარიშით 1:0 დაამარცხა პორტუგალიის „პორტო". სხვა შეხვედრები: „აიაქსი" (ჰოლანდია) — „ტორინო" (იტალია) 2:1, „სტანდარდი" (ბელგია) — „ატლეტიკო მანეირო" (ბრაზილია) 2:2, „რომა" (იტალია) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) 1:0.

## „უემბლიზე"...

**გუშინ** ლონდონში, „უემბლის" 100-ათასიან სტადიონზე, შედგა ინგლისის საფეხბურთო ლიგის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მატჩი ინგლისის ეროვნულ გუნდსა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთაგან შემდგარ ნაკრებს შორის.

მატჩმა, რომელიც ტელევიზიით ვიხილეთ, დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა.

ანგარიშით — 3:0 გაიმარჯვა ინგლისის ეროვნულმა გუნდმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიზკულტურა და სპორტი — მოსახლეობის ფასიანი მომსახურება

# საერთო საზრუნავი

გვესაუბრება საქართველოს სპორტსახკომის მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განყოფილების გამგე — **გივი ჟირიმელაშვილი.**

● **თქვენი განყოფილება ახლახან შეიქმნა. რას გვეტყვით მისი საქმიანობის შესახებ?**

—სპორტული ნაგებობების ეფექტურ გამოყენებასა და მოსახლეობის ფასიან მომსახურებას დღეს დიდი ყურადღება ექცევა. ეს განყოფილება, სპორტსახკომის ინიციატივით შეიქმნა.

უპირველეს ყოვლისა მოსაგვარებელი იყო საორგანიზაციო საკითხები — ე. წ. უწყებრივი ბარიერების გადალახვა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. დღეისათვის სპორტულ ორგანიზაციებთან უშუალო კონტაქტისა და სპორტსახკომის კოლეგიის დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა. რაც მთავარია,



— სპორტული ნაგებობების უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, შეიქმნა მათი მართვისა და კოორდინაციის ერთიანი სისტემა, სპორტულ ნაგებობათა ხელმძღვანელებთან ერთად შემუშავდა და დაინერგა მოსახლეობის ფასიანი მომსახურების ახალი ფორმები. შეგროვდა, გადაითარგმნა და გამრავლდა ყველა ძირითადი საფინანსო-სამეურნეო ნორმატიული დოკუმენტი და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის ბაზაზე ორ ნაკადად ჩატარდა სპორტული ბაზების ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სპორტული ნაგებობების თანამშრომლებმა მიიღეს კონკრეტული პრაქტიკული რეკომენდაციები და სხვ.

● **რას ითვალისწინებს მოსახლეობის ფასიანი მომსახურება?**

— დღეს იმდენად გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნები, მათი კულტურის დონე, იმდენად შეიცვალა მათი დამოკიდებულება ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიმართ. რომ ჩვენი საქმიანობის ადრინდელი ფორმები ბევრს აღარ აკმაყოფილებს. ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: როცა მოქალაქე საფასურს იხდის, შესაბამის მომსახურებასაც მოითხოვს. ესე იგი, სპორტული ნაგებობა, თუ მას ხალხის მიზიდვა სურს, აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე ინვენტარ-მოწყობილობით, ჰქონდეს მომსახურების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და ასე შემდეგ.

სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერჯერობით ყველაფერი მოწესრიგებული არა გვაქვს, საქმე ის არის, რომ შესაძლებლობებს სრულად ვერ ვიყენებთ. ჩვენი სპორტული ნაგებობების გამტარუნარიანობა, რენტაბელობა და დატვირთვის კოეფიციენტი უაღრესად დაბალია. სპორტული ორგანიზაციებისა და სპორტული ბაზების ხელმძღვანელები კი თავს არ იწუხებდნენ.

დღეს საკითხი სულ სხვაგვარად დგას. სპორტულმა ნაგებობამ ისე უნდა წარმართოს საქმიანობა, რომ „თავიც შეინახოს“ და სახელმწიფოსაც მოგება მისცეს.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ წელს საქართველოს სპორტულმა ნაგებობებმა 7 მილიონ მანეთზე მეტი ნაღდი შემოსავალი უნდა მისცენ სახელმწიფოს. აქედან უშუალოდ საქართველოს სპორტსახკომის ბაზებმა —1 მილიონ 700 ათასი მანეთი. ასეთივე გეგმები აქვთ პროფკავშირების სპორტულ ორგანიზაციებს, „დინამოს“ და სხვა უწყებებს. მომავალში ეს გეგმები კიდე უფრო გაიზრდება. გარდა ამისა მომწიფდა საკითხი სპორტული ბაზების მთლიანად თვითანაზღაურებაზე გადაყვანის შესახებ.

სპორტი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წამყვანი დარგია, ამიტომ დასანანია ის, რომ ცალკეულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ასე გულგრილად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მოსახლეობის გაჯანსაღების საქმეს. მაგალითად, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აფხაზეთის ასსრ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების — ზუგდიდის, მცხეთის, ხაშურის, გურჯაანის, თელავის, ცხაკაიას, მარნეულის. წყალტუბოს, ახალციხის, ვანისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელთა საქმიანობა.

მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, რესპუბლიკის ბევრ რეგიონებს მეორე კვარტლის საფინანსო გეგმების შესრულების ანგარიშიც კი არ წარმოუდგენია. საკითხი სპორტსახკომის კოლეგიის სხდომისათვის მზადდება.

გვინდა შევახსენოთ რესპუბლიკის ყველა სპორტულ ორგანიზაციას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საფინანსო გეგმების ანგარიშები ყოველი თვის 1 რიცხვში დეპეშით უნდა გამოგზავნონ სპორტსახკომის სპორტნაგებობათა სამმართველოში, რომელიც ყოველი თვის 2 რიცხვში ამ მონაცემებს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გადასცემს.

● **ფასიანი მომსახურების გაზრდა ხელს ხომ არ შეუშლის მასობრიობას?**

— არავითარ შემთხვევაში. პირიქით, იგი ხელს შეუწყობს მასობრიობის გაზრდას. სწორედ აქ გვმართებს გამჭრიახობის გამოჩენა და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა. როდესაც ვლაპარაკობთ მოსახლეობის ფასიან მომსახურებაზე, ვგულისხმობთ, რომ უნდა შეიქმნას მომსახურების ახალი ფორმები, კერძოდ, სამასაჟო და სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები, სატრენაჟერო და საპროცედურო ოთახები. დაინერგოს ახალი კომპლექსური სახეობები. ახალგაზრდებისათვის „ბრეიკ-დანსის“ [illegible] „[illegible]ბორდი“ და სხვ. უნდა გამოვიყენოთ სპორტული ნაგებობის ყველა შესაძლებლობა, რატომ არ შეიძლება, როგორც ადრე „ლელო“ წერდა, მაგალითად, საცურაო აუზის ბაზაზე დაიდგას ჩოგბურთის მაგიდები, ჭადრაკის დაფები, მოეწყოს სავარჯიშო ოთახი, სამასაჟო კაბინეტები და სხვ. ანდა მასობრივი თავშეყრის ტრადიციულ ადგილებში მოვაწყოთ გაქირავების მოძრავი პუნქტები, სპორტულ შეჯიბრებებთან ერთად ჩავატაროთ სხვა ღონისძიებები: სპორტული ლატარიები, აუქციონები და ასე შემდეგ. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ იქ, სადაც საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდებიან, ბევრი რამ კეთდება. განა უყურადღებობისა და უპასუხისმგებლობის მაგალითი არ არის ის, რომ „საქსპორტვაჭრობამ“ დიდი ვაივაგლახის შემდეგ შეძლო ნიჩბებიანი ნავების და წყლის ველოსიპედების გამოწერა? და მაინც, თბილისის ზღვაზე, კუს ტბასა და მტკვარზე სასეირნოდ ამ მეტად საჭირო და მომგებიანი ინვენტარის შეძენა დღემდე ვერ მოხერხდა.

● **სპორტული ბაზების მატერიალური წახალისების რა ფორმები გაქვთ?**



სპორტული ნაგებობების საფინანსო გეგმები 1987 წლიდან ზემდგომი უწყების ან წარმოების საერთო საფინანსო გეგმებში შედის. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების ხელმძღვანელმა, სურს, თუ არა ეს მას, ამ საწარმოსადმი დაქვემდებარებული სპორტული ნაგებობის კეთილმოწყობაზე უნდა იზრუნოს.

სოცშეჯიბრების მაჩვენებლებში ერთ-ერთ ძირითად პუნქტად შეტანილია მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მაჩვენებლები. სპორტული ნაგებობების თანამშრომლებს კვარტალურ პრემიებთან ერთად, მატერიალური წახალისების სხვა საშუალებაც გამოუჩნდათ — თუ ბაზაზე 15 ჯგუფზე (300 კაცზე) მეტი ვარჯიშობს, თანამშრომლების ხელფასი 30 პროცენტით იზრდება.

მოსახლეობის ფასიანი მომსახურებიდან შემოსული თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში არ გადაირიცხება. იგი მთლიანად სპორტული ბაზის კეთილმოწყობას ხმარდება. ბაზის ხელმძღვანელებს უფლება აქვთ თავიანთი შტატები შექმნან — მიიღონ ინსტრუქტორ-მეთოდისტები და სხვ.

● **რატომ არის, რომ ერთსა და იმავე მომსახურებაში სხვადასხვა სპორტულ ბაზებზე განსხვავებულ საფასურს ვიხდით?**



— საერთოდ მიღებულია მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სააბონემენტო სისტემა, მაგრამ აქ სერიოზული ხარვეზები გვაქვს.

საქმე ის არის, რომ ადრე ნებისმიერი რანგის ჯანმრთელობის ჯგუფში (ამ სახელწოდებით იყო გაერთიანებული ყოველგვარი მომსახურება) კვირაში სამჯერადი ვარჯიშისთვის (თვეში კი 12) განსაზღვრული იყო 3 მანეთი, მაგრამ ამ სისტემამ არ გაამართლა.

აბონემენტის ღირებულების დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ სპორტული ნაგებობის მიერ გაწეული ხარჯები, მისი მატერიალურ-ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, კომფორტი და სხვ. დამტკიცებულია ნორმები, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ სპორტული ბაზის სააბონემენტო ღირებულება.

აღნიშნული საკითხი შესწავლის პროცესშია და მოკლე ხანში ყველაფერი გაირკვევა. ამჟამად არსებული თვიური და კვარტალური აბონემენტების გვერდით აუცილებლად მიგვაჩნია მეცადინეობაზე ერთჯერადი დასწრების ბილეთების შემოღებაც, მათ შორის საცურაო აუზებზეც.

● **საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის დადგენილებით 1 ოქტომბრამდე დიდ სპორტულ კომპლექსებთან უნდა შეიქმნას სპორტული კლუბები. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

—ეს საკითხი კარგა ხანია მომწიფდა. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სპორტი ძალიან პოპულარულია, ასეთი კლუბები ჯერ კიდევ არა გვაქვს.

კლუბის სტრუქტურა ასე გვესახება. მაგალითად, გვაქვს ჭადრაკის სასახლე, გვყავან სახელოვანი მოჭადრაკე ქალები, ჭადრაკის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები, ვეტერანები და გულშემატკივრები. ამიტომ ჭადრაკის სასახლის ბაზაზე უნდა შეიქმნას ჭადრაკის მოყვარულთა კლუბი. კლუბს ექნება თავისი დებულება, წესდება, ეყოლება პრეზიდიუმი და, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი. ექნება საკუთარი ემბლემა. ვიმპელი, სამკერდე ნიშანი, პირადობის მოწმობა და სხვა; კლუბს ექნება საკუთარი ანგარიში და შემოსავლის საკმაოდ სოლიდური წყარო. (საწევრო შესატანი, ტურნირების, სეანსებისა და ლექციების ჩატარების, სუვენირების, ბიულეტენების, პროგრამების, ბუკლეტებისა და სხვათა რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხა და ა. შ.). კლუბს უფლება ექნება მოიწვიოს და ეწვიოს სხვადასხვა ქალაქებისა და ქვეყნების მოჭადრაკეებს, ჩაატაროს ღონისძიებები და სხვ. ჭადრაკის სასახლეში კლუბის წევრებისათვის შეიქმნება შესაბამისი პირობები შემოქმედებითი მუშაობის, დასვენებისა და კულტურულ-სპორტული გართობისათვის. მათთვის იმუშავებს კაფე-ბარი — ვიდეომაგნიტოფონი.

ასეთი კლუბები უნდა შეიქმნას სპორტის სხვა სახეობებშიც ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე, ლენინური კომკავშირის სახელობის საცურაო აუზზე, მძლეოსნობისა და ჩოგბურთის სასახლეებში. სპორტის სასახლეში, „ბურევესტნიკის“ კომპლექსში, ფალავანთა კლუბში და სხვა კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზებზე.

ვიმეორებ, ყველაფერი გაკეთდება, თუ ყველა ჩვენგანი პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმეს და ამ სასარგებლო საქმის დიდ მნიშვნელობას ირწმუნებს.

● **რას გვეტყვით კოოპერატივების შესახებ?**

— სპორტული კოოპერატივი, უცნაურად ჟღერს, არა? მაგრამ ეს საკითხი დღეს მეტად აქტუალურია. ჩვენ „ლელოს“ მეშვეობით (01.07.87). დახმარება აღვუთქვით ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას და კერძო პირს.

სხვათა შორის, მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ რეალური, მყარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დამყარებული წინადადება — ცოტა. საბჭოთა კავშირში ორიოდე ნამდვილი კოოპერატივი არსებობს, თუმცა კი ამის საშუალება ბევრგან არის. სპორტული საქონლის წარმოება და მოსახლეობის ფასიანი მომსახურება—ჩვენი აზრით, დღეისათვის აი, ეს ორი საკითხია მოსაგვარებელი, კერძოდ, სპორტული ფორმებისა და ინვენტარის გამოშვება (ტაშკენტის მაგალითი), საკუთარი სპორტული ბაზის შექმნა, მისი გაქირავება-გამოყენება (რიგის ჩოგბურთის კოოპერატივი).

„ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსის ბაზაზე ჩამოყალიბდა კოოპერატივი მინიფეხბურთში, მალე იგი იურიდიულადაც გაფორმდება.

ამ კოოპერატივს განზრახული აქვს მინიფეხბურთში სხვადასხვა სახის ტურნირების ჩატარება. მისი შემოსავლის წყარო იქნება საპაიე შესატანი, ტურნირის მონაწილე გუნდების საწევროები, ბილეთების, პროგრამების, ბუკლეტების და სხვა სპორტული ატრიბუტების საფასური. მათ საკმაოდ სოლიდური ე. წ. საპრიზო ფონდიც ექნებათ გამარჯვებული გუნდებისათვის. თბილისში ათასობით არიან ველოსიპედის მოყვარულნი, ველოსიპედის შეკეთებელი პუნქტი კი არსად არ არის. ცენტრალურ ველოდრომზე განზრახული აქვთ ველოსიპედების, მოტოციკლებისა და სპორტული ავტომანქანების სარემონტო სახელოსნოს შექმნა. არის სხვა, ჯერჯერობით გამოუყენებელი საშუალებებიც. მაგალითად, შეიძლება მასაჟის, სამკურნალო ფიზკულტურის, საპროცედურო და სატრენაჟორო კაბინეტების, სპორტული მოედნების მოწყობა, ბინაზე მომსახურება, საკონსულტაციო პუნქტების შექმნა, სპორტული ატრიბუტების დამზადება, მარტივი ტიპის სპორტული ინვენტარის (მინიფეხბურთის, კარებების, კალათბურთის ფარების) დამზადება-დამონტაჟება და სხვა.

სერიოზულად დგას სასკოლო საცურაო აუზების კოოპერირების საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ თბილისის 22 სასკოლო საცურაო აუზიდან ნორმალურად 3-4 თუ მუშაობს, დაინტერესებულ პირთა ინიციატივით და სახსრებით, შეიძლება ამ აუზების კეთილმოწყობა (საუნა. სამასაჟო. სამკურნალო ფიზკულტუ-



რის კაბინეტები ა. შ.). სკოლა უფასოდ ისარგებლებს საცურაო აუზით, მოსახლეობა კი აბონემენტებს შეიძენს.

ეს საკითხი დროულად უნდა გადაწყდეს.

სსრ კავშირის სპორტსახკომი გთავაზობთ სამეურნეო ანგარიშზე ე. წ. გაერთიანებების „ფიზკულტურა და ჯანმრთელობა“ და „ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების“ შექმნას, სადაც სხვადასხვა ორგანიზაციების კოოპერირების წესით სამეურნეო ანგარიშზე მოხერხდება მომსახურების მრავალნაირი ფორმის დანერგვა. მაგალითად, ბელორუსიის ბევრ ქალაქში ასეთი გაერთიანებები გახსნილია სპორტული კომპლექსების, აბანოების, სახლმმართველობისა და სხვა ობიექტების ბაზაზე.

თბილისის კულტურის სამმართველოსა და საქსპორტსახკომის ინიციატივით მსგავსი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების გახსნა ნავარაუდევია თბილისის „გამარჯვების“ პარკში.

დასასრულ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრი აუთვისებელი რეზერვი გვაქვს. დიახ, მთავარია მონდომება, პირადი ინიციატივა და საქმისადმი სიყვარული.

სპორტული ბაზების ეფექტიანობისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაუმჯობესება ყველა ჩვენგანის საზრუნავია.

ესაუბრა **დავით ჩუბინიძე.**

## სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

# გადა ჭამაში მოდის

(დასასრული)

გადამწყვეტი შეხვედრებისკენ მიიკვლევს გზას ზაზა ზოზიროვიც (48 კგ). ალექსი ლისანიკთან (უკრაინა) და გაიდარ ატაევთან (პროფკავშირები-I) გამარჯვების შემდეგ მესამე წრეში იგი ისვენებდა.

განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი რესპუბლიკის გუნდის სხვა წევრებიც. საქმე ისაა, რომ ერთი დამარცხება ჯერ კიდევ არ ნიშნავს არაფერს, მდგომარეობის გამოსწორება კიდევ და კიდევ შეიძლება, თუ რა თქმა უნდა, მომდევნო შეხვედრებს კარგად ჩაატარებ. არა და ერთი ტენდენცია ამ ტურნირში აშკარად შეიმჩნევა — რაც უფრო მეტ შეხვედრებს ატარებენ ნორჩები, მით უფრო გაბედულად და თამამად იქცევიან და მდგომარეობასაც თანდათან ასწორებენ. ერთი სიტყვით, ტურნირი საინტერესოდ მიმდინარეობს.

# წყალში მხტომელები-II ადგილზე

**წყალში** მხტომელთა შეჯიბრების მესამე დღეს გოგონები 1-მეტრიანი ტრამპლინიდან, ხოლო ბიჭები 3-მეტრიანი კოშკიდან საბაზო პროგრამით წინასწარ ასპარეზობაში გამოდიოდნენ. გუშინ, შეჯიბრების ბოლო დღეს, დილით გადამწყვეტი პაექრობისთვის გოგონებმა 3-მეტრიან ტრამპლინზე გადაინაცვლეს. აქ სამივე საპრიზო ადგილი პროფკავშირების-I გუნდის წარმომადგენლებმა დაიკავეს. ჩემპიონი გახდა ანა ობორინა — 461,67. მეორე იყო ნატალია კოდაკინა — 459,15, მესამე — სვეტლანა კონდრაშოვა — 456,24.

საქართველოს წარმომადგენელთაგან ყველაზე კარგად ისპარეზა ნანა ნებიერიძემ (V ადგილი — 436,26). დანარჩენმა ჩვენმა სპორტსმენებმა ასეთი შედეგები აჩვენეს: ი. ჯანგოიანი (IX ადგილი) — 375,84, ო. ზაკატოვა (XVI) — 346,41, ი. ფედოროვა (XXI) — 312,21. ამის შემდეგ საქართველოს გუნდმა მეექვსედან კვლავ მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

საღამოს 5-7,5-მეტრიან კოშკზე ფინალური შეჯიბრება გამართეს ბიჭებმა. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ს. კრასნაშოკოვი — 538,79, ა. უსტიმოვი (ორივე — „დინამო") — 530,97, ვ. ბილეცკი (პროფკავშირები-I) — 506,16. საქართველოს წარმომადგენელთაგან საუკეთესო იყო ო. ვასილჩენკო — V ადგილი, 498,66 ქულა.

**ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გუნდურ პირველობაში საბოლოოდ II ადგილი შეინარჩუნეს — 3374,95 ქულა. პირველია პროფკავშირები-I — 3706,02, მესამე — რსფსრ — 3351,71.**

## პიონერული ზაფხული-87

# ძველებური განწყობილებით

**პიონერული ბანაკის ძირითადი ამოცანაა არდადეგების პერიოდში ნორჩებთან გააგრძელოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, სადაც ერთ-ერთი წამყვანი ფუნქცია ფიზკულტურასა და სპორტს ეკისრება, მაგრამ...**

„შევარდენი" და „ცისკარი" ერთმანეთის მეზობლად მდებარეობენ წყნეთში. ამ პიონერულ ბანაკებს შესანიშნავი პირობები აქვთ, რათა ორგანიზებულად, სისტემატური მუშაობით ხელი შეუწყონ მოზარდების ჯანმრთელობის გაკაჟებას, ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებებით საინტერესო გახადონ და გაახალისონ საბანაკო ცხოვრება. ჩვენ ამ დღეებში ვეწვიეთ ამ ბანაკებს და შთაბეჭდილება ისეთი დაგვრჩა, თითქოს აქ ნაკლოვანებების მიზეზებს კი არ ეძებენ, არამედ, სწორედ ამ ნაკლოვანებებს იმიზეზებენ უმოქმედობა რომ გაამართლონ. სამწუხაროდ, აქ ისევ ძველებური განწყობილებით მუშაობენ. ავიღოთ ბავშვთა საჭყუმპალაოები. ორივე ბანაკს აქვს მარტივი საცურაო აუზი. წესით აქ ბავშვებს ცურვაც უნდა შეასწავლონ და მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივებიც ჩააბარებინონ. დაგვეთანხმებით, ზაფხულის ცხელ დღეებში არაფერია ნორჩებისთვის იმაზე უფრო სახალისო და საინტერესო, ვიდრე წყალთან სიახლოვე, სამწუხაროდ, არც ერთი აუზი არ მუშაობს. „შევარდენის" ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელი აკაკი გოშაძე, ბანაკის სამედიცინო სამსახური, ბანაკის ხელმძღვანელობა (დირექტორი ალექსანდრე ბასიაშვილი) გულგრილად შეჰყურებენ ბანაკის ტერიტორიაზე დაჭუჭყიანებულ საჭყუმპალაოს, რომელიც მავთულბადითაა შემოღობილი და კარებზე ბოქლომი ადევს. „ცისკარის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გურამ ბურჭულაძემ კი თავი იმართლა — აუზი წყალს უშვებსო. უთავბოლობა მეტი გინდათ? — აგვისტოში ახსენდებათ, რომ აუზი თურმე წყალს ვერ უჭავებს. ასეთი გულგრილობისთვის ბანაკის ყოფილ ხელმძღვანელობასაც უნდა მოეთხოვოს პასუხი.

არის ერთი გარემოებაც. ცურვის ინსტრუქტორის შტატს იმ პიონერულ ბანაკებს გამოუყოფენ ხოლმე, სადაც ბავშვებისთვის ცურვის შესწავლის შესაძლებლობებია. ინსტრუქტორის შტატი ზემოხსენებულ ორივე ბანაკშია დაშვებული. „შევარდენში", მაგალითად, ცურვის ინსტრუქტორის ხელფასს იღებს რამაზ ბოგვერაძე. საკითხავია რისთვის? (იმ დღეს ბოგვერაძე ბანაკშიც არ იყო). „ცისკარში" კი როგორც გვითხრეს, შტატი ვაკანტურია (?!).

ბოლოს ისიც გვინდა ვთქვათ, რომ წყნეთში შარშან შესანიშნავი სპორტული კომპლექსი გახსნა. ამ კომპლექსს და პიონერულ ბანაკებს სულ რამდენიმე ათეული მეტრი აშორებს ერთმანეთისგან. მართალია, ბანაკებში მუშაობა მთლად ჩამკვდარი არ არის, მაგრამ რატომ არ იყენებენ შესაძლებლობებს?

— რა თქმა უნდა, კომპლექსს ვიყენებთო, — იცრუა აკაკი გოშაძემ. მანამდე კი სპორტკომპლექსის დირექტორმა ჩვენთან საუბარში სინანული გამოთქვა, დილიდან დაბინდებამდე ბაზაზე ვარ, ჯერ ჩვენთან არც ერთ პიონერულ ბანაკს არ მოუყვანია ბავშვებიო.

„შევარდენის" კარს რომ მივადექით, რამდენიმე ბავშვი მშობლებს შინ მიჰყავდათ. ის პიონერები ჩვენი ვინაობით დაინტერესდნენ, როცა გაიგეს, თვალები გაუბრწყინდათ, შემოგვხედეს და... სპორტული შეჯიბრება უნდა ჩაატაროთო? — გაეხარდათ, ბანაკში შებრუნება დააპირეს.

სამწუხაროდ, ჩვენ ისინი არ ვიყავით, ვისაც ნორჩები დიდი ხანია აქ ელოდებიან.

ლახტის წრეში

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### „უპირველესად — ღირსება!"

ამ სათაურით „ლელომ" 28 მაისს საკითხის დასმის წესით გამოაქვეყნა თბილისის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის, დოცენტ ზურაბ ჩაჩუას წერილი, ხოლო 18 ივლისს რუბრიკით: „უკაცრავად, შეგახსენებთ" ქალაქის სპორტკომიტეტსა და ჭადრაკის საქალაქო ფედერაციას სთხოვა ეპასუხა, ეთანხმებოდნენ თუ არა წერილის ავტორს. ამ დღეებში რედაქციამ მიიღო თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ლევან თედიაშვილის წერილი. გვაცნობეს, რომ 23 ივლისს, თბილისის სპორტკომიტეტის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს „ლელოში" გამოქვეყნებული წერილი, მოიწონეს მისი ავტორის პოზიცია და მდგომარეობის გამოსასწორებლად შესაბამისი ღონისძიებები დასახეს.

## II ლიგა

**გუშინ** განახლდა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება, შედგა მეორე წრის პირველი მატჩები.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შევარდენი"-სპი და გორის „დილა".

მატჩი დამთავრდა „შევარდენი"-სპი-ის გამარჯვებით — 2:0.

## კვირიდან კვირამდე

**„პრავდა" — 8 აგვისტო.** „პირამიდა ძირიდან კენწერომდე". ფიზკულტურელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით გაზეთის მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარე მარატ გრამოვი.

**„პიონერსკაია პრავდა" — 6 აგვისტო.** „სიყალბე". ბულგარეთში დამთავრდა XXXI საერთაშორისო მძლეოსნური ოთხჭიდის — „დრუჟბა"-ს ფინალური შეჯიბრებები. საბჭოთა ნაკრების გოგონათა გუნდი ფრიად სამარცხვინო საქციელისთვის მოიხსნა შეჯიბრებიდან.

**„ტრუდი" — 4 აგვისტო.** „დღევანდელი სტრელცოვი". ა. ნილინი მოგვითხრობს 60-იანი წლების ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელზე ედუარდ სტრელცოვზე.

**„სოვეტსკაია როსია" — 6 აგვისტო.** „ვეცდები გავხდე პროფესიონალი". ინტერვიუ ყოფილ მოსკოვის „ტორპედოელ" სერგეი შავლოსთან, ფეხბურთელთან, რომელიც ამჟერად ავსტრიაში, ვენის „რაპიდში" თამაშობს.

**„კრასნაია ზვეზდა" — 7 აგვისტო.** „შეტევის რაინდი". ო. სპასკის შეკითხვებს პასუხობს ცნობილი ჰოკეისტი ვლადიმერ კრუტოვი.

**„კომსომოლსკაია პრავდა" — 8 აგვისტო.** „დისტანციაზეა ჯანმრთელობა". გაზეთის კორესპონდენტები ვ. გორლოვი და კ. სეროვი ესაუბრებიან პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარეს ბორის როგატინს.

**„სოვეტსკი სპორტი" — 5 აგვისტო.** „ეს მამაკაცების თამაშია". რუბრიკით „გულახდილი თანამოსაუბრე" გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს ქუთაისის „მშენებლის" რეგბისტთა გუნდის მწვრთნელ დუგლას კავთელიშვილთან. **7 აგვისტო.** „დიდი მარყუჟი". გაზეთი იწყებს სსრ კავშირის ველოსიპედისტთა ნაკრების მწვრთნელის ნიკოლაი გორელოვის დღიურის პუბლიკაციას, რომელსაც იგი „ტურ დე ფრანსის" მსვლელობისას აწარმოებდა.

## საქართველოს პირველობა

**რესპუბლიკურ** საფეხბურთო გათამაშებათა საანგარიშო წერილებში ხშირად გვაკლია ხოლმე II ჯგუფის ქვეჯგუფების გუნდების შეხვედრათა შედეგები, ეს იმითაა გამოწვეული, რომ მსაჯები დროულად არ ატყობინებენ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებს, ან აგვიანებენ ოფიციალური ოქმების წარმოდგენას.

გთავაზობთ II ჯგუფის გუნდების იმ შეხვედრათა შედეგებს, რომლებიც „ლელოში" თავის დროზე არ გამოქვეყნებულა.

**I ქვეჯგუფი.** სპი-„დინამო"-3 — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 2:1, უნივერსიტეტი (თბილისი) — სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) 2:1, უნივერსიტეტი — „სინათლე"-„სპორტინტერნატი" (თბილისი) 2:0, „ფოსტამტი" (თბილისი) — „მიონი"-35 (თბილისი) 1:0, „სინათლე"-„სპორტინტერნატი" (თბილისი) — სპი-„დინამო"-3 (თბილისი) 1:1, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე"-„სპორტინტერნატი" (თბილისი) 3:3, სპი-„დინამო"-3 (თბილისი) — „მშენებელი" (რუსთავი) 1:1, „ქიზიყი" (სიღნაღი) — სპი-„დინამო"-3 (თბილისი) 1:3.

**II ქვეჯგუფი.** „ავტომობილისტი" (გორი) — „ზარზმა" (ადიგენი) 5:1, „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:1, „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „ბაგიათი" (ჯავა) 1:2, „მეფრინველე" (კასპი) — „განთიადი" (დმანისი) 6:1, „ალგეთი" (მარნეული) — „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) 1:0, „კოლმეურნე" (მარნეული) „თორი" (ბორჯომი) + —, „ზარზმა" (ადიგენი) — „არაგვი" (დუშეთი) 2:2, „ავტომობილისტი" (გორი) — „განთიადი" (დმანისი) 5:2, „კოლმეურნე" (მარნეული) — „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) 3:0, „მეფრინველე" (კასპი) — „ფარვანა" (ადიგენი) 4:2.

**III ქვეჯგუფი.** „იბერია" (ქარელი) — „ქიმიკოსი" (ამბროლაური) 4:0, „იბერია" (ქარელი) — „ზანა" (აბაშა) 2:1, „ჭოგნარი" (თერჯოლის რ-ნი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:3, „მეშაქრე" (აგარა) — „ხვამლი" (ცაგერი) 2:0, „ხვამლი" (ცაგერი) — „ორპირი" (ტყიბულის რ-ნი) 1:0, ხდკ (სამტრედია) — „იმერეთი" (წულუკიძე) 1:0, „ორპირი" (ტყიბულის რ-ნი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:3, „ზანა" (აბაშა) — „ჭოგნარი" (თერჯოლის რ-ნი) 2:1, „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:2, „ჩიხურა" (საჩხერე) — „მეშაქრე" (აგარა) 4:0, „მამისონი" (ონი) — „ჭოგნარი" (თერჯოლის რ-ნი) 5:0, „ორპირი" (ტყიბულის რ-ნი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 3:1, „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 3:2, ხდკ (სამტრედია) — „ჩიხურა" (საჩხერე) 6:2, „ხვამლი" (ცაგერი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 3:1, „იბერია" (ქარელი) — „ორპირი" (ტყიბულის რ-ნი) 3:2, „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:2, „ქიმიკოსი" (ამბროლაური) — „იბერია" (ქარელი) 2:0, „იმერეთი" (წულუკიძე) — „ჭოგნარი" (თერჯოლის რ-ნი) 4:0, „ორპირი" (ტყიბულის რ-ნი) — „ზანა" (აბაშა) 2:0.

**IV ქვეჯგუფი.** „ჩიბათი" (ლანჩხუთი) — „განთიადი" (გაგრა) 2:1, „ავტომობილისტი" (ბათუმი) — „ნარინჯი" (ქობულეთი) 1:0, „განთიადი" (ცხაკაია) — „ნარინჯი" (გონიო) 1:0, „დვაბზუ" (მახარაძე) — „ავტომობილისტი" (ბათუმი) 3:0, „განთიადი" (გაგრა) — „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) 1:1, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 2:1, „დინამო"-2 (ბათუმი) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 0:3, „განთიადი" (გაგრა) — „ნარინჯი" (გონიო) + —, „კოლხეთი"-2 (ფოთი) — „ალიონი" (გალის რ-ნი) 1:1, „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) — „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) 2:2, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „დვაბზუ" (მახარაძე) 1:0, „მზიური" (გალი) — „კოლხეთი"-2 (ფოთი) 4:3, „განთიადი" (ცხაკაია) — „განთიადი" (გაგრა) 4:7, „ნარინჯი" (გონიო) — „დინამო"-2 (ბათუმი) 5:2.

### გათამაშების ცხრილები ⊙ II ჯგუფი ⊙ მდგომარეობა 9 აგვისტოსთვის

**I ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 19 | 16 | 1 | 2 | 53-17 | 33 |
| „მეტალისტი" (რუსთავი) | 20 | 14 | 2 | 4 | 36-18 | 30 |
| „მშენებელი" (რუსთავი) | 20 | 12 | 4 | 4 | 40-26 | 28 |
| „სამგორი" (გარდაბანი) | 20 | 11 | 3 | 6 | 32-20 | 25 |
| „თუშეთი" (ქვემო ალვ.) | 20 | 11 | 2 | 7 | 41-28 | 24 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 19 | 10 | 4 | 5 | 31-15 | 24 |
| უნივერსიტეტი (თბილისი) | 18 | 10 | 4 | 4 | 23-14 | 24 |
| „სპი-„დინამო"-3 (თბილისი) | 19 | 9 | 4 | 6 | 40-29 | 22 |
| სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) | 20 | 7 | 8 | 5 | 16-14 | 22 |
| „ფოსტამტი" (თბილისი) | 20 | 7 | 6 | 7 | 35-33 | 20 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 19 | 5 | 7 | 7 | 31-22 | 17 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 20 | 5 | 5 | 10 | 30-40 | 15 |
| „მიონი-35" (თბილისი) | 19 | 6 | 2 | 11 | 27-44 | 14 |
| სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) | 18 | 4 | 6 | 8 | 21-27 | 14 |
| „ვარდისუბანი" (ლაგ. რ-ნი) | 19 | 5 | 3 | 11 | 23-30 | 13 |
| „სინათლე"-სპორტინტერნატი" (თბილისი) | 17 | 2 | 5 | 10 | 18-37 | 9 |
| „შირაქი" (წით. წყარო) | 20 | 3 | 2 | 15 | 18-51 | 8 |
| „ქიზიყი" (სიღნაღი) | 19 | 2 | 0 | 17 | 18-68 | 4 |

**II ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არაგვი" (დუშეთი) | 20 | 13 | 7 | 0 | 56-21 | 33 |
| „აბული" (ახალქალაქი) | 20 | 11 | 5 | 4 | 43-23 | 27 |
| „თორი" (ბორჯომი) | 20 | 11 | 4 | 5 | 45-19 | 26 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 20 | 11 | 4 | 5 | 39-24 | 26 |
| „მეფრინველე" (კასპი) | 20 | 10 | 3 | 7 | 32-23 | 23 |
| „ალგეთი" (მარნეული) | 20 | 8 | 6 | 6 | 30-19 | 22 |
| „გარისი" (თეთ. წყარო) | 19 | 10 | 1 | 8 | 37-29 | 21 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 20 | 9 | 3 | 8 | 35-29 | 21 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 20 | 9 | 3 | 8 | 35-32 | 21 |
| „ავტომობილისტი" (გორი) | 20 | 8 | 4 | 8 | 37-32 | 20 |
| „მარაბდა" (კოდა) | 20 | 6 | 7 | 7 | 23-27 | 19 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 19 | 7 | 4 | 8 | 27-34 | 18 |
| „ლიახვი" (ცხინ. რ-ნი) | 20 | 6 | 6 | 8 | 21-26 | 18 |
| „მევავეჯე" (ახალდაბა) | 20 | 5 | 7 | 8 | 22-27 | 17 |
| „ზარზმა" (ადიგენი) | 20 | 4 | 7 | 9 | 31-43 | 15 |
| „ფარვანა" (ბოგდანოვკა) | 19 | 5 | 2 | 12 | 21-35 | 12 |
| „განთიადი" (დმანისი) | 19 | 4 | 1 | 14 | 19-60 | 9 |
| „ბაგიათი" (ჯავა) | 20 | 3 | 2 | 15 | 16-66 | 8 |

**III ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 18 | 16 | 1 | 1 | 59-19 | 33 |
| „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) | 19 | 13 | 3 | 3 | 27-11 | 29 |
| „იმერეთი" (წულუკიძე) | 19 | 11 | 5 | 3 | 31-11 | 27 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 19 | 11 | 4 | 4 | 41-29 | 26 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 19 | 10 | 4 | 5 | 38-16 | 24 |
| ხდკ (სამტრედია) | 19 | 10 | 3 | 6 | 38-24 | 23 |
| „მამისონი" (ონი) | 19 | 8 | 4 | 7 | 36-35 | 20 |
| „ზანა" (აბაშა) | 19 | 8 | 2 | 9 | 31-31 | 18 |
| „ქიმიკოსი" (ამბროლ.) | 19 | 7 | 4 | 8 | 30-37 | 18 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 19 | 6 | 6 | 7 | 32-31 | 18 |
| პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) | 19 | 6 | 5 | 8 | 35-39 | 17 |
| „ორპირი" (ტყიბ. რ-ნი) | 19 | 6 | 3 | 10 | 23-36 | 15 |
| „იბერია" (ქარელი) | 19 | 4 | 5 | 10 | 19-40 | 13 |
| „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი) | 18 | 4 | 6 | 8 | 27-35 | 14 |
| „მეშაქრე" (აგარა) | 19 | 4 | 3 | 12 | 24-42 | 11 |
| „ჭოგნარი" (თერ. რ-ნი) | 19 | 3 | 2 | 14 | 23-53 | 8 |
| „ხვამლი" (ცაგერი) | 18 | 3 | 0 | 15 | 17-42 | 6 |

**IV ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მზიური" (გალი) | 19 | 14 | 5 | 0 | 50-21 | 33 |
| „ჩიბათი" (ლანჩხუთი) | 18 | 13 | 3 | 2 | 45-14 | 29 |
| „ოდიში" (ზუგ. რ-ნი) | 19 | 10 | 6 | 3 | 49-24 | 26 |
| „კოლხეთი-2" (ფოთი) | 19 | 10 | 5 | 4 | 37-26 | 25 |
| „დარჩელი" (ზუგ. რ-ნი) | 18 | 10 | 5 | 3 | 26-17 | 25 |
| „ნარინჯი" (ქობულეთი) | 18 | 9 | 4 | 5 | 26-19 | 22 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 19 | 9 | 4 | 6 | 30-25 | 22 |
| „დვაბზუ" (მახარაძე) | 19 | 7 | 6 | 6 | 34-33 | 20 |
| უნივერსიტეტი (სოხუმი) | 19 | 8 | 3 | 8 | 28-30 | 19 |
| „სუბტროპიკი" (სოხუმი) | 19 | 7 | 5 | 7 | 30-30 | 19 |
| „ალიონი" (გალის რ-ნი) | 19 | 7 | 5 | 7 | 34-37 | 19 |
| „განთიადი" (გაგრა) | 19 | 5 | 6 | 8 | 32-31 | 16 |
| „ავტომობილისტი" (ბათუმი) | 19 | 5 | 4 | 10 | 21-33 | 14 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 18 | 6 | 0 | 12 | 30-50 | 12 |
| „ნარინჯი" (გონიო) | 19 | 3 | 4 | 12 | 26-40 | 10 |
| „დინამო-2" (ბათუმი) | 18 | 1 | 2 | 15 | 20-51 | 4 |
| „განთიადი" (ცხაკაია) | 19 | 1 | 1 | 17 | 22-59 | 3 |

## რეგბი

**გაიმართა** რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები. ორი მატჩი სენსაციური შედეგით დამთავრდა: გათამაშების აუტსაიდერმა, ლენინგრადის „პრიმორეცმა“ შინ დაამარცხა ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი, მოსკოვის „ფილი“ — 9:7 და მას პირველ ექვსეულში მოხვედრის იმედი თითქმის გადაუწურა, ვინაიდან ქვეყნის ჩემპიონმა და გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა. „მონინოს“ სსა-მ საკუთარ მოედანზე მოულოდნელად წააგო „ფილის“ კონკურენტთან — კრასნოიარსკის გუნდთან. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სლავა“ — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 10:10, „ავიატორი“ — „ელექტრომაში“ 18:6, ასკ — „შევარდენი“ 52:3. XIX ტურში „მშენებლისა“ და „შევარდენის“ მატჩი დამთავრდა არა 21:0, როგორც გვაცნობა საკდესმა, არამედ 21:10.

**გათამაშების ცხრილი**
**მდგომარეობა 9 აგვისტოსათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსა (მონ.) | 22 | 13 | 5 | 4 | 53 | (—13) |
| „მშენ.“ (კ.) | 22 | 15 | 1 | 6 | 53 | (—13) |
| „ავ.“ (კ.) | 22 | 14 | 2 | 6 | 52 | (—14) |
| ასკ (ა.-ა.) | 22 | 12 | 4 | 6 | 50 | (—16) |
| „ეტს“ (კრ.) | 22 | 12 | 2 | 8 | 48 | (—18) |
| „ფილი“ (მ.) | 22 | 11 | 4 | 7 | 48 | (—18) |
| „სლავა“ (მ.) | 21 | 12 | 2 | 7 | 47 | (—16) |
| „ლოკ.“ (მ.) | 21 | 10 | 2 | 9 | 43 | (—20) |
| „ელ.“ (ტირ.) | 22 | 6 | 1 | 15 | 35 | (—31) |
| „ელმავალი“ | 20 | 6 | 1 | 13 | 33 | (—27) |
| „პრიმ.“ (ლ.) | 22 | 5 | 0 | 17 | 32 | (—34) |
| „შევ.“ (თბ.) | 22 | 2 | 0 | 20 | 26 | (—40) |

**სპორტული პროფილის რესპუბლიკური ოლიმპიური რეზერვების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1987-88 სასწავლო წლისათვის.**

სკოლაში მიიღებიან მოსწავლე სპორტსმენები, რომლებმაც სპორტულ სკოლებში გაიარეს წინასწარი სპორტული მომზადება და სპორტის არჩეულ სახეობაში სულ მცირე პირველი თანრიგი მაინც აქვთ.

მიიღებიან: ნიჩბოსნობის, ველოსპორტის და მძლეოსნობის ჯგუფებში მე-7, მე-8, მე-9 კლასებში, ძიუდოს, კლასიკური, თავისუფალი ჭიდაობის, ფარიკაობისა და ფეხბურთის ჯგუფებში — მე-7-8 კლასებში.

მოსწავლეები გამოცდებს ჩააბარებენ საერთო ფიზიკურ მომზადებაში, სპორტის არჩეულ სახეობაში და გასაუბრება ექნებათ საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ:

1. ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №№ 026 უ, 63 და 191,
2. დაბადების მოწმობა (დედანი) არქივის ცნობით,
3. საკლასიფიკაციო წიგნაკი,
4. მშობლის განცხადება დირექტორის სახელზე,
5. 6 ფოტოსურათი ზომით 3X4.

აკადემიური ნიჩბოსნობის ჯგუფში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან უთანრიგო მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ კარგი ფიზიკური მონაცემები და სიმაღლე: ბიჭებს 185 სმ-ზე და გოგონებს 175 სმ-ზე მეტი.

გამოცდაზე გასასვლელად მოსწავლეებმა თან უნდა იქონიონ სპორტული ფორმა.

გამოცდები ჩატარდება 24-25 აგვისტოს, 9 საათიდან 18 საათამდე მძლეოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფარიკაობასა და ნიჩბოსნობაში. 26-27 აგვისტოს, 9 საათიდან 18 საათამდე, კლასიკურ ჭიდაობაში, ძიუდოში, ველოსპორტსა და ფეხბურთში.

სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, ოთხჯერადი კვებით და სპორტული ფორმით.

საბუთების მიღება წარმოებს 17 აგვისტოდან ყოველდღე დილის 9 საათიდან 17 საათამდე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №25.

ავტობუსი მეტრო „დიდუბიდან“ № 80, მეტრო „თემქიდან“ № 24, მეტრო „ღრმაღელედან“ № 59, სამარშრუტო ტაქსი № 24, ტელეფონი: 67-18-34, 67-53-95.


პატრიკ კეში.


ივან ლენდლი.


შტეფი გრაფი.


მარტინა ნავრატილოვა.

# უიმბლდონის ახალი ფურცელი

**კიდევ** ერთი საინტერესო ფურცელი ჩაიწერა მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში: დამთავრდა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი ჩოგბურთში — უიმბლდონის ტურნირი.

ოთხმოცი ქვეყნის (მათ შორის სსრ კავშირის) 350 მილიონი ტელემაყურებელი ორი კვირის განმავლობაში ადევნებდა თვალს ამ მართლაც დაუვიწყარ სანახაობას.

უიმბლდონის ტურნირის შედეგებზე დაწვრილებით სპეციალისტები ილაპარაკებენ, ჯერჯერობით კი, როგორც იტყვიან, „ცხელ კვალზე“, დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს იყო მსოფლიო ჩოგბურთის ნამდვილი ზეიმი, რომელმაც არაერთი ახალი ვარსკვლავი გამოავლინა. თუკი ამერიკელი ჩოგბურთელის მარტინა ნავრატილოვას გამარჯვება (მან მერვედ მოიპოვა უიმბლდონის პრიზი) კანონზომიერი იყო, 22 წლის ავსტრალიელი პატ კეშის წარმატება ასპარეზობის ნამდვილ სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს. სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს დასავლეთ გერმანელმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა და არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ.

წლეულს გრაფმა უიმბლდონის ტურნირის ჩათვლით, 46 შეხვედრა ჩაატარა დაუმარცხებლად. გოგონას 18 წელი ამ ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეუსრულდა! მასზე 11 თვითაა უმცროსი საბატინი, რომელიც თავის მხრივ ამდენით უფროსია ნატაშა ზვერევაზე (სსრ კავშირი). მერვედფინალში იასპარეზა ტურნირის ყველაზე უმცროსმა მონაწილემ ამერიკელმა მარი ჯო ფერნანდესმა. ფერნანდესი ჯერ კიდევ შარშან, როცა 14 წლის იყო, მაშინ აღმოჩნდა საფრანგეთის ღია პირველობაზე 8 უძლიერეს ჩოგბურთელს შორის. სამწუხაროდ, ჩვენმა ტელემაყურებელმა ვერც ფერნანდესის და ვერც ახალგაზრდა ნიჭიერი ჩეხი ჩოგბურთელის იანა ნოვოტნას გამოსვლა ვერ ნახა.

სპეციალისტების ყურადღება მიიპყრეს ჩეხოსლოვაკიელმა ჰელენა სუკოვამ, იტალიელმა რაფაელა რეჯიმ და სხვებმა.

როგორც ვარაუდობდნენ, უიმბლდონის ნახევარფინალში ნავრატილოვა კრის ევერტს შეხვდა, ხოლო გრაფი — საბატინს. ორივე წყვილის ბრძოლა დაძაბული იყო, გამარჯვებულები მხოლოდ მესამე, გადამწყვეტმა პარტიებმა გამოავლინა.

კრის ევერტს (აშშ), უიმბლდონის ყველაზე სახელოვან მონაწილეს, მალე 33 წელი შეუსრულდება, მაგრამ ტურნირზე მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას უჭკნობი ნიჭი აქვს.

ახალგაზრდა ჩოგბურთელ ქალთა შორის გაბრიელა საბატინი გამოირჩეოდა მრავალფეროვანი თამაშით, და უზადო ტექნიკით, მაგრამ მას აკლია სიმძაფრე და ათლეტიზმი, რაც ესოდენ დამახასიათებელია თანამედროვე ქალთა ჩოგბურთისათვის.

ფინალურმა მატჩმა დაგვანახა, რომ ათლეტიზმისა და უნივერსალური თამაშის გარეშე ძნელია წარმატების მიღწევა. სწორედ ეს თვისებები გვიჩვენა 30 წლის მარტინა ნავრატილოვამ ფინალურ ორთაბრძოლაში შტეფი გრაფთან. დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა, რომელმაც წლეულს უკვე ორჯერ იზეიმა გამარჯვება ნავრატილოვასთან შეხვედრაში, უიმბლდონის ტურნირზე ვერ გაუწია მას წინააღმდეგობა. ფინალი, როგორც იტყვიან, „ერთ კარში“ მიმდინარეობდა.

ბევრი ახალი სახელი გამოავლინა ვაჟთა ასპარეზობამაც. ესენი არიან 22-23 წლის გი ფორჟე (საფრანგეთი), ემილიო სანჩესი (ესპანეთი), იაკობ ხლასეკი (შვეიცარია) და ალექსანდრე ვოლკოვი — უიმბლდონის ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე საბჭოთა კავშირიდან. ვოლკოვმა ჩოგბურთის მოყვარულები მშვენიერი, შინაარსიანი თამაშით მოხიბლა და რამდენიმე დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა — დაამარცხა ამერიკელი ჩოგბურთელი ბრედ გილბერტი, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციით XI ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ჩოგბურთელი გამოირჩევა სწრაფი თამაშით და ბურთის მძლავრი ჩაწოდებით, რაც ძალიან ეფექტურია ბალახის კორტებზე, იგი ნაკლებად დაჯერებულად გრძნობს თავს რბილ მოედანზე. ამ ახალგაზრდა ჩოგბურთელს შეუძლია დიდი ოსტატი გახდეს.

ყველასთვის მოულოდნელი იყო ტურნირის მთავარი ფავორიტის, მსოფლიო მეორე ჩოგანის, ბორის ბეკერის მარცხი (ამერიკელმა ჯონ მაკინროუმ ავადმყოფობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა ასპარეზობაში). ბეკერი უკვე ორჯერ იყო უიმბლდონის ჩემპიონი. სამწუხაროდ, მის შესანიშნავ გამარჯვებებს ზოგჯერ ნამდვილი ჩავარდნის პერიოდები მოჰყვება ხოლმე, განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ეს წლეულს.

უმაღლესი კლასის თამაში გვიჩვენა მსოფლიო ჩოგბურთის ვეტერანმა, ამერიკელმა ჯიმი კონორსმა, რომელიც დამსახურებულად გავიდა ნახევარფინალში.

ტურნირის ჭეშმარიტ აღმოჩენად იქცა 22 წლის ავსტრალიელი პატ კეში. მართალია, სპეციალისტები მას უიმბლდონზე წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ასე დაუბრკოლებლად თუ გავიდოდა ფინალში და ასე ადვილად თუ „გაუსწორდებოდა“ თვით ივან ლენდლს, ამას არავინ მოელოდა.

კეში სერიოზულად ემზადებოდა უიმბლდონისათვის: უარი თქვა სხვა დიდ ტურნირებში მონაწილეობაზე, განსაკუთრებით ერიდებოდა ქვიშიან კორტებზე გამოსვლას, სადაც იგი ნაკლები თავდაჯერებით თამაშობს. ახალი ჩემპიონი გამოირჩევა არა იმდენად მძლავრი, რამდენადაც სწრაფი და ზუსტი თამაშით მთელს მოედანზე. მას შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს რთული სათამაშო სიტუაციები.

შესაძლოა ეს წელი საბჭოთა ჩოგბურთელებისთვის რაღაც ახლის მომტანი იყოს. დიდი ხანია მათ ასეთ პრესტიჟულ ტურნირში ამგვარი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ, უკვე მეორე წელია გოგონათა ასპარეზობაში ნატალია ზვერევა ზედიზედ იმარჯვებს, წელს კი იგი მთავარი ტურნირის მერვედფინალშიც მოხვდა.

ჩვენმა ჩოგბურთელმა გოგონებმა ლარისა სავჩენკომ და სვეტლანა პარხომენკომ პირველად მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება, რაც საბჭოთა ჩოგბურთის დიდ წარმატებაზე მეტყველებს.

**ალექსანდრე მეტრეველი,**
**საქინფორმის სპორტული მიმომხილველი.**



**9 აგვისტოს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართება დოლები წმინდასისხლიანი და ახალთექური ჯიშის ცხენებისათვის.**

გათამაშდება დიდი ჯილდოები: „დერბი“, „მ. კალინინის სახელობის პრიზი“, „საქართველოს სსრ პრიზი“, და სხვა.

იმუშავებს ტოტალიზატორი.

გათამაშდება ლატარეა მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგულის“ რიგგარეშე შესაძენად.

დასაწყისი 12 საათზე.

**იპოდრომის დირექცია.**

**„სპორტპროგნოზი“ 33-ე ტირაჟი (15-16 აგვისტო)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **ფეხბურთი. სსრ კავშირის თასი (1987-1988 წწ.) 1/8 ფინალის განმეორებითი მატჩები.** | | | | |
| 1. „ტორპედო“ (მოსკოვი) — ცსკა | 15.VIII | 60 | 20 | 20 |
| 2. „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 15.VIII | 50 | 20 | 30 |
| 3. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „არარატი“ (ერევანი) | 15.VIII | 70 | 20 | 10 |
| 4. „დინამო“ (სოხუმი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 15.VIII | 20 | 20 | 60 |
| 5. „კუზბასი“ (კემეროვო) — „ნეფთჩი“ (ბაქო) | 15.VIII | 30 | 20 | 50 |
| **ფეხბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი (პირველი ლიგა)** | | | | |
| 6. „დაუგავა“ (რიგა) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 15.VIII | 30 | 40 | 30 |
| **ფეხბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 7. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) | 16.VIII | 60 | 30 | 10 |
| **ფეხბურთი. სსრ კავშირის თასი (1987-1988 წწ.) 1/8 ფინალის განმეორებითი მატჩები** | | | | |
| 8. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) | 16.VIII | 70 | 10 | 20 |
| **ყინულის ჰოკეი. სსრ კავშირის 1987 წლის თასის გათამაშების 1/2 ფინალის განმეორებითი მატჩი** | | | | |
| 9. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) | 15.VIII | 30 | 30 | 40 |
| **ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში (საფრანგეთი)** | | | | |
| 10. გფრ — ბულგარეთი | 16.VIII | 80 | 10 | 10 |
| 11. სსრკ — ესპანეთი | 16.VIII | 70 | 10 | 20 |
| 12. რუმინეთი — იტალია | 16.VIII | 40 | 10 | 50 |
| 13. უნგრეთი — იუგოსლავია | 16.VIII | 40 | 20 | 40 |

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

თბილისის განათლების სამმართველოს საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის დირექცია აცხადებს მიღებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში. ასაკი შეუზღუდავია.

მეცადინეობები ჩატარდება 8-დან 21 საათამდე, ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

აუზის მისამართია: საირმის ქუჩა № 51, ტელ: 38-44-89.

## ეკრანზე...

**ცენტრალური ტელევიზია. 9 აგვისტო.** რიტმული ტანვარჯიში — **9. 30 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** საცხენოსნო სპორტი: როსტოვის დიდი სტიპლ-ჩეისი — **20.15 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ავტოსპორტში: „ფორმულა-1“ (უნგრეთიდან) — **21.15 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.10 (1).**

**10 აგვისტო.** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.35 (1)** და **21.15 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 9 აგვისტო.** სპორტული პროგრამა — **13.35** და **16.30;** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.10.**

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას ქ. 29. უე 07075